წესები ტენდერის ჩატარებისთვის

სრული მზადყოფნის პირობით — კონტრაქტორის ვალდებულებაა განახორციელოს პროექტი იმგვარად, რომ სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული და / ან მასში ნაგულისხმევი პირობების შესაბამისად სამშენებლო ობიექტი აშენდეს სრული აღჭურვილობით, აქსესუარებით და ა.შ., მისი მიწოდება და მონტაჟი მოხდეს სრულად და მზად იყოს ფუნქციონირებისთვის, როგორც კი მხარეებს შორის გაფორმდება ჩაბარების საბოლოო აქტი, აგრეთვე არ იქნება საჭირო სჯპ-ის მხრიდან შემდგომი სამუშაოების ჩატარება.

ხარჯთაღრიცხვა და საპროექტო დოკუმენტაცია დანარჩენ სამშენებლო-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად სამშენებლო და ტექნოლოგიური სამუშაოების ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

კონტრაქტორმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაცია და დააზუსტოს სამუშაოების ამომწურავი სია, რომელიც გათვალისწინებული და/ან ნაგულისხმევია ხარჯთაღრიცხვაში და/ან ნახაზებში და/ან სხვა სამშენებლო-ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

კონტრაქტორი იძლევა გარანტიას, რომ ჩაბარების საბოლოო აქტის ხელმოწერის დღიდან 5 წლის განმავლობაში (საგარანტიო პერიოდი) ის საკუთარი ხარჯებით შეასწორებს, გადააკეთებს ან/და შეცვლის კონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დეფექტს/დაზიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზიანი არ არის გამოწვეული სჯპ-ის ან მესამე მხარის მიერ.

კონტრაქტორს ხარჯთაღრიცხვაში შეუძლია დაამატოს ნაკლული მასალები, სისტემები, ახსნა-განმარტებები და სხვა დანაჩენი, დამატებების სიაში შეტანით.

მოთხოვნები განმცხადებლებისთვის: გამოცდილება მსგავსი ობიექტების მშენებლობაში